

ტესტირებაზე ქცევის წესები

- ✓ საგამოცდო ცენტრებში ტესტირება დაიწყება **2023 წლის 22 იანვარს 12:00 საათზე**.
- ✓ ტესტირების ხანგრძლივობა შეადგენს **5 საათს**.
- ✓ საგამოცდო ცენტრში დირექტორობის მსურველი რეგისტრაციისათვის უნდა გამოცხადდეს ტესტირებამდე **ერთი საათით ადრე**.
- ✓ ტესტირებაზე გამოცხადება დირექტორობის მსურველმა უნდა დაადასტუროს რეგისტრაციის დროს ხელმოწერით.
- ✓ ტესტირებაზე დაგვიანებით გამოცხადებული დირექტორობის მსურველი **არ დაიშვება** ტესტირებაზე.
- ✓ დირექტორობის მსურველმა **თან უნდა იქონიოს** საქართველოს მოქალაქის მოქმედი პირადობის მოწმობა ან პასპორტი, წინააღმდეგ შემთხვევაში, დირექტორობის მსურველი ტესტირებაზე **არ დაიშვება**.
- ✓ დირექტორობის მსურველმა **თან უნდა იქონიოს** წყალი პლასტმასის ბოთლით და საწერი კალამი (შავ ფურცელზე მუშაობის მიზნით).
- ✓ დირექტორობის მსურველს **უფლება აქვს თან იქონიოს** პირადი ჰიგიენის საგნები.
- ✓ დირექტორობის მსურველს, რომელსაც აქვს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები და საჭიროებს საათობრივად კვებას ან მედიკამენტების მიღებას, თან უნდა იქონიოს საკვები და შესაბამისი მედიკამენტები. საკვები უნდა გადაეცეს რეგისტრატორს რეგისტრაციის ეტაპზე.
- ✓ იმისათვის, რომ დირექტორობის მსურველს კვების მიზნით მიეცეს შესაბამის სივრცეში გასვლის უფლება, მან საგამოცდო ცენტრში რეგისტრაციის დროს უნდა წარმოადგინოს უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ გაცემული **სამედიცინო დასკვნა** (ცნობა, ფორმა 100), სადაც მითითებული იქნება საათობრივად კვების აუცილებლობა და რეგისტრატორი გააფრთხილოს **კვების მიღების დროსთან დაკავშირებით**.
- ✓ იმისათვის, რომ დირექტორობის მსურველს ჩვილის გამოკვებისათვის მიეცეს შესაბამის სივრცეში გასვლის უფლება, დირექტორობის მსურველმა აღნიშნულის შესახებ უნდა აცნობოს რეგისტრატორს რეგისტრაციის ეტაპზე.
- ✓ მხედველობის პრობლემების მქონე დირექტორობის მსურველებს, რომლებმაც სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას მიმართეს შესაბამისი განცხადებითა და ცნობით, ტესტზე **სამუშაოდ მიეცემათ დამატებით 30 წუთი**.
- ✓ რეგისტრაციის შემდეგ რეგისტრატორი დირექტორობის მსურველს განუსაზღვრავს მისთვის განკუთვნილ საგამოცდო ადგილს, რის შემდეგაც იგი იკავებს მისთვის განკუთვნილ ადგილს.
- ✓ ტესტირების მიმდინარეობისას დირექტორობის მსურველებს **უფლება აქვთ სამუშაო მაგიდაზე თან იქონიონ მხოლოდ:**
 - საწერი კალამი;
 - კოორდინატორის/დამკვირვებლის მიერ გადაცემული ფურცელი;
 - წყალი (პლასტმასის ბოთლით);
 - პირადი ჰიგიენის საგნები;

- საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი.
- ✓ **დირექტორობის მსურველს ეკრძალება:**
 - მობილური ტელეფონის ქონა (თუნდაც გამორთულ მდგომარეობაში);
 - სხვა ელექტრონული მოწყობილობის ქონა (თუნდაც გამორთულ მდგომარეობაში);
 - დამხმარე მასალის - სახელმძღვანელოების, ჩანაწერების, ფურცლების (გარდა კოორდინატორის/დამკვირვებლის მიერ გადაცემულისა) ქონა;
 - გადალაპარაკება;
 - დახმარების გაწევა ან მიღება;
 - სხვა პირისათვის რაიმე სახით ხელის შეშლა;
 - სამუშაო ადგილის უნებართვოდ დატოვება.
- ✓ აკრძალული ნივთების აღმოჩენის შემთხვევაში, დირექტორობის მსურველს მიეცემა წერილობითი გაფრთხილება და ჩამოერთმევა აღნიშნული ნივთი;
- ✓ დირექტორობის მსურველი გაფრთხილების გარეშე **მოიხსნება ტესტირებიდან:**
 - წესის დარღვევის განმეორების შემთხვევაში;
 - წესრიგის უხეში დარღვევის შემთხვევაში.
- ✓ დირექტორობის მსურველი უფლებამოსილია ტესტირების მიმდინარეობისას მოითხოვოს სპეციალური ფურცელი.
- ✓ დირექტორობის მსურველი ტესტზე მუშაობას შეუდგება დამკვირვებლის/კოორდინატორის მიერ ტესტირებაზე ქცევის წესების სრულად გაცნობისა და შესაბამისი მითითების შემდეგ.
- ✓ დირექტორობის მსურველმა მისთვის განსაზღვრული საგამოცდო დროის ამოწურვის შემდეგ დამკვირვებელს/კოორდინატორს უნდა დაუბრუნოს მისთვის გადაცემული სპეციალური ფურცელი და დატოვოს საგამოცდო ცენტრი.
- ✓ ტესტირების შედეგი გამოქვეყნდება სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ვებ გვერდზე <https://emis.ge/> და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ვებ გვერდზე <https://directors.mes.gov.ge/> რეგისტრაციის დროს მინიჭებული უნიკალური კოდის მითითებით.

გისურვებთ წარმატებებს!